საქართველოს კანონის პროექტი

**„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში**

**ცვლილების და დამატებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1. მაუწყებლობის შესახებ** (*საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბერი კანონი №780–ვებგვერდი, 18.01.2005 წ.*) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:

1. მე-2 მუხლის ,, წ “ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,, წ) რეკლამა – კომერციული, სოციალური, არაწინასაარჩევნო პოლიტიკური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;“

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,, $წ^1$ “პუნქტი:

,, $წ^1$ ) არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა - არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა არის არაწინასაარჩევნო პერიოდში იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება პოლიტიკური პარტიის იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;“

3. $66^1$ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

,,შენიშვნა:
ამ მუხლის პირველ პუნქტში არსებული აკრძალვები არ ვრცელდება არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის მომზადებისა და გავრცელების მომსახურების შესყიდვაზე“

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

**საქართველოს პრეზიდენტი** **გიორგი მარგველაშვილი**